

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პილარომატოროლოგიური ობსერვატორიის მონაცემები

დღეს მოსალოდნელია წვიმა ელქვიტით, დასავლეთის მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდა მთიან რაიონებში - 12-17 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

კრიკოსი N იუსი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთს საქართველოსთვის, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის დარღვევებისა და მოქალაქეებისთვის მიყენებული ზარალისთვის კომპენსაციის სახით 129 მილიონ ევროზე მეტს გადახდა დააკისრა. საქმე ეხებოდა საქართველოს მთავრობის ბრალდებებს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევების ბრალსთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს კონვენციის სხვადასხვა დარღვევას 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით.

ჩვენს ქვეყანაში ჩვენი პარტიორების განხორციელება გეგმიური არის ჩვენი ოპოზიციისთვის კიდევ ერთხელ პასუხი კითხვაზე - სად მიდის საქართველო, - ასე გამოხატა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით მათიკაშვილი საქართველოს საგარეო უწყების საგარეო საქმეთა მინისტრ კატრინ კოლონას და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ზბიგნევ რაუს ვიზიტს. სტუმრები მიიღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. გაიმართა შეხვედრა ოპოზიციასთან. «ერთმანა შეხვედრა ჩანს ორმხრივი სურვილი, რომელიც საბოლოო ჯამში, ჩვენი მოლოდინით, სამართლიანი გადაწყვეტილების პირობებში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიწოდებით უნდა დასრულდეს», - აღნიშნა მათიკაშვილმა.

კანდიდატის სტატუსი უკვე ხდება ინსტრუმენტი ჩვენი დასავლელი პარტიორებისთვის, რომ მაქსიმალურად შეეცადონ და აიძულონ ხელისუფლებას, წავიდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისკენ, მართლმსაჯულების რეფორმისკენ, პოლიტიკური პატივების გამოშვებისკენ, - განაცხადა «ნაციონალური მოძრაობის» გენერალურმა მდივანმა პეტრე ცისკარიშვილმა. მისივე თქმით, ამ პროცესს ბევრი წახნაგი აქვს და შემდეგი თვეები საქართველოსთვის მართლაც ისტორიული იქნება.

ევროპარლამენტთან მიღწეული შეთანხმებით, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ევროპარლამენტს ბრიუსელში 31 მაისს მიმართავს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, აღნიშნულთან დაკავშირებით სალომე ზურაბიშვილმა ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლას ოფიციალური წერილი მიიღო. ბრიუსელში ვიზიტთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად საქართველოს პრეზიდენტის წერილი მთავრობას უკვე გავგზავნა.

მომზადდა ია შველიძემ

ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონების საკრიზო ფონდი მილიონ ლარს გადააჭარბებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მთავრობის სხდომაზე 2023 წლის პირველი კვარტალის ეკონომიკური და ტურისტული ტენდენციები მიმოიხილა. თორნიკე რიჟვაძის თქმით, მაქსიმუმში გაკეთდება, რათა რადიკალურმა ჯგუფებმა ვერ შეძლონ ტურისტული სეზონის დისკრედიტაცია. «დარწმუნებულები ვართ, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული სამშვიდობო პოლიტიკით, ევროპული კურსით ეს ტენდენციები შენარჩუნდება და ჩვენი მოსახლეობა უფრო მეტ სარგებელს მიიღებს. შარშან მიდიოდა საზღვაო ტურისტული სეზონის მიზანმიმართული დისკრედიტაცია, პირველ რიგში, «ნაციონალური მოძრაობის» და მასთან დაკავშირებული რადიკალური ჯგუფების მიერ, ასევე, ზოგიერთი მედიასაშუალებების მხრიდან, რომლებიც ფინანსდება ევროპული პენსიონერების და ქართული ჯარის ნაძარცვი ფულით. ხელისუფლებამ მყარად აგრძელებს სამშვიდობო პოლიტიკას. შესაბამისად, გვექნება წარმატებული ტურისტული სეზონი და შევინარჩუნებთ დადებით ეკონომიკურ ტენდენციას», - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

სხდომის მსვლელობისას მთავრობის თავმჯდომარემ ეკონომიკური ტენდენციებიც შეაფასა. მისი თქმით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი პირველ კვარტალში გადაჭარბებით - 120 პროცენტით შესრულდა. «გაზრდილია საგადასახადო შემოსავლები ყველა მიმართულებით, რაც მიუთითებს ბიზნესის დადებით დინამიკაზე, ასევე სამუშაო ადგილების ზრდაზე. ბათუმში მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი დასაქმების ფორუმი 2000-ზე მეტი ლა ვაკანსიით, რაც წამყვან კომპანიებში დასაქმების შესაძლებლობას იძლევა. ტურიზმის მიმართულებითაც დადებითი დინამიკა ფიქსირდება. რე-



გიონში აქტიურად მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და სპორტსმენებისთვის საერთაშორისო სტანდარტების სავარჯიშო სივრცეების მოწყობა. თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, რომ სპორტსმენებმა არაერთი წარმატება მოიპოვეს. სპორტის მხარდაჭერის და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონატებში (დიდებში) საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გაზრდილ საპრიზო თანხას მიიღებენ. საპრიზო ფონდი რამდენიმეჯერ გაიზარდება და მილიონ ლარს გადააჭარბებს.

აჭარის მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, იწყება ქალაქებისა და კურორტების განვი-

თარების მასშტაბური სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ძველი ბათუმის რეაბილიტაცია.

მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, გაგრძელდება სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამები. აჭარის განათლების სამინისტრო 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის საფასურს 520 სტუდენტს დაუფინანსებს. სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღება შეუძლიათ სტუდენტებს მაღალმთიანი აჭარიდან, მრავალშვილიანი, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, «World Travel Awards»-ის ევროპის დაჯილდოების ცერემონიას ბათუმი მიმდინარე წლის 30 სექტემბერს უმასპინძლებს.

მევენახეთა და მეღვინეთა კლასტარის პრეზენტაცია - აჭარაში

შეღებულა ორიენტირებული მასშტაბური დასაქმების ფორუმი

«როსა მანავლაბლოკა გადაწყვიტა, ვიხლოდი, რომ პირველად სოფლის სკოლაში ვანავლიდი»

საკრებულოს სხდომა - ხმაურის ფონზე

«ბული და გონება შედივად ფიქრთა კორიანტალში»

«ფერთა დაბალმა, პანტალურმა ტონებმა შექმნა და განსაზღვრა ჩემი ხელოვნების სხე»

ISSN 2720-8702
9 772720 870003

გამორჩეული გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



საკრებულოს სხდომა - ხმაურის ფონზე

ნატი იაშვილი 555 18 48 88

გუშინ ხმაურით დაიწყო ბათუმის საკრებულოს მორიგი სხდომა, რასაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის "დარბაზიდან გასვლა მოჰყვა. პროტესტის ამ ფორმით გამოხატვამდე რეზო ხარაზმა მმართველ გუნდს ბათუმის დღესასწაულისთვის, რომელიც დღეს, 29 აპრილს იმართება, მომზადებული მოსაწყვეი წარუდგინა

მისი განაცხადებით, მასზე ბათუმში, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს განხორციელებული პროექტებია ასახული. "135 წლის იუბილეს აღნიშნავთ და მოსაწყვეტე ერთი ახალი პროექტიც არ გავივთ დატანილი. იმ კაცის მიერ განხორციელებული პროექტებით არის სავსე მოსაწყვეტი, რომელიც რუსეთის და ბორიკა ივანიშვილის პირადი პატივარა. სიმბოლურია, რომ თანამედროვე ქალაქი სწორედ მიხეილ სააკაშვილს უკავშირდება. ერთი პროექტი არ გავიკეთებთ, მაგრამ დავიხსენებთ თქვენ მიერ შეჩერებულ პროექტებს - მაგალითად, "როიალ კარიბიანი", ახალი ბუღვარის განვითარება, შემოვლითი გზა... ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ბორიკა ივანიშვილმა კაზინო გახსნა. ამაყი ვარ, რომ ამ ქალაქში დავდივარ. მადლობა იმ სამსახურს, რომელმაც ეს მოსაწყვეტი გააკეთა. ნახეთ თანამედროვე ბათუმი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა მოგვცა. თავისუფლება მიშას", - განაცხადა რეზო ხარაზმა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ ნოდარ ღუმბაძის განცხადებით, სხდომას, რომელზეც ორი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილებოდა, ქალაქის მერი არჩილ ჩიქოვანი არ ესწრებოდა.

მისივე თქმით, როცა ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებოდა, სხდომაზე სწორედ მაშინ დადიოდა არჩილ ჩიქოვანი, ხოლო როცა ოპოზიცია საკრებულოს სხდომას დაუბრუნდა, მერი აღარ დადის. "ორი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი განიხილებოდა ბათუმის საკრებულოში - 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები. "ქართული ოცნების" მერ არჩილ ჩიქოვანს ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები არაფრად მიაჩნია. იგი შეგნებულად არ ესწრება სხდომას, როდესაც ოპოზიცია საკრებულოშია. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ როდესაც ქალაქის მერი არასერიოზულად ეკიდება საკრებულოს როგორც ინსტიტუტს, აბსურდულ სხდომაში მონაწილეობა არ მივიღოთ", - განაცხადა ნოდარ ღუმბაძემ.

ოპოზიციის მიერ საკრებულოს სხდომის პროტესტის ნიშნად დატოვება გამოეხმაურა "ქართული ოცნების" წევრი ნატალია ზოიძე. როგორც მან განაცხადა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" პარტიულ სტრუქტურაში ვერ გარკვეულა და არ იცის, როგორ გააგრძელოს მუშაობა.

"ოპოზიციას ახალი არფერი გაუკეთებია, ისინი მუდმივად ბოიკოტის რეჟიმში არიან. სამწუხაროდ, მოვლენები ისე ვითარდება, საინტერესოა, საკუთარ პარტიულ სტრუქტურაში როგორ გააგრძელებენ

მოღვაწეობას - ერთ გუნდად თუ რამდენიმედ. ბუნებრივია, საკრებულოს სხდომაზე ყოფნა მათთვის დამორგუნველია ასეთ ვითარებაში. რაც შეეხება ბანერს, რომელიც ბათუმობასთან დაკავშირებით გაკეთდა, მინდა შევახსენო ყველას, რომ წინა ხელისუფლების დროს რაც კეთებოდა, ყველაფერი ხალხის ფულით აშენდა. მე ვერ ვხვდები, რას აპროტესტებენ. რა ვქნათ, დავანგრიოთ, რაც არის გაკეთებული?!", - განაცხადა ნატალია ზოიძემ.

ბათუმის საკრებულოს სხვა წევრებმა დღის წესრიგით გაწერილი 17 საკითხი განიხილეს და დამტკიცეს. კერძოდ, საკრებულომ დაამტკიცა ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები შემოსულობების ნაწილში შესრულდა 100 პროცენტით, ხოლო გადასახდელების ნაწილში - 83,9 პროცენტით. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 266 189,4 ათასი ლარი, ფაქტობრივმა შესრულებამ - 266 134,2 ათასი ლარი. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 293 999,2 ათასი ლარი, ფაქტობრივმა შესრულებამ - 246 557,3 ათასი.

2022 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. რეგლამენტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წინა წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს საკრებულო პირველ მისამდე ამტკიცებს.

საკრებულომ ცვლილებები შეიტანა მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტში, რომლის შესაბამისადაც ბათუმის 2023 წლის საბიუჯეტო ასიგნებები 20 მლნ ლარით გაიზარდა. ცვლილების მიხედვით, ნამატი თანხა, ძირითადად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობის სამუშაოების, სტიქიური მოვლენების დროს დაზარალებულ პირთა დახმარების, ჯანდაცვის, სოციალური პროგრამებისა და მონაწილეობითი ბიუჯეტით შერჩეული პროექტების დაფინანსებას მოხმარდება.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ჭოროხის ქუჩის მიმდებარე არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხს. კერძოდ, აღნიშნული ტერიტორია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცემა "ჭოროხის გზის" (მახოს ხიდი - გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობით კომისიის 2022 წლის 13 ოქტომბრის №11 საოქმოდ გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

საკრებულოს გადაწყვეტილებით,



ით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცემა ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული და მის საკუთრებაში არსებული "ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. №2-ში მდებარე შენობის დემონტაჟისა და სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობის" საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შემდგომში მისი შპს "აჭარის პროექტების მართვის კომპანიის" საწესდებო კაპიტალში შეტანის მიზნით.

საკრებულომ თანხმობა მისცა შპს "ელთ ბილდინგს" ქ. ბათუმში, ლეს და მარია კარისკების ქუჩაზე საფენავლო გადასასვლელი ხიდის მშენებლობისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა მოსახლეობისა და ტურისტების გადაადგილების უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად და საკუთრებო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. საფენავლო გადასასვლელი ხიდის საყრდენები აღნიშნული ნაკვეთებზე განთავსდება შემდეგი პირობებით: ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შპს პირთათვის; ხიდით შეუფერხებლად სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს; საფენავლო გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით და დასრულდება მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 9 თვის ვადაში.

საკრებულომ მხარი დაუჭირა ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებაში და სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ის მიმდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინების დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების (ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმის) ახალი თანდართული რედაქციით ჩამოყალიბებას. ცვლილების მიღება განაპირობებს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლის (05.29.24.035) მესაკუთრესთან - ლია სანაძესთან საცხოვრის გაუმჯობესების თაობაზე (საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ახალი ბინებ) ჩანაცვლება) შეთანხმებამ და ქირისა და სარემონტო საკომპენსაციო თანხების განსაზღვრის საკითხს.

საკრებულომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადასცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა მახინჯაურში, მე-2 სართულზე, ბინა №8-ში მდებარე 24,34 კვ მეტრი საცხოვრებელი ფართი შემდგომში მისი იქ მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით. აღნიშნული ქონების გადაცემა განხორციელდა "სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელი სადგომად გამოყენებული და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი და არასაცხოვრებელი სამთავრობო კომისიის" რეკომენდაციის საფუძველზე. საკრებულომ განსაზღვრა ქ. ბათუმში გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური საარგებლოების საფასური, რაც პლაუსის სხვადასხვა ლოკაციებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის საკითხს უკავშირდება. საკრებულომ განსაზღვრა ქ. ბათუმში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური საარგებლოების საფასური, რაც პლაუსის სხვადასხვა ლოკაციებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის საკითხს უკავშირდება. საკრებულომ განსაზღვრა ქ. ბათუმში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური საარგებლოების საფასური, რაც პლაუსის სხვადასხვა ლოკაციებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის საკითხს უკავშირდება.

უხსოვარი

უკრაინისთვის დაპირებული საბრძოლო მანქანების 98% უკვე გადაცემულია. ეს მოიცავს 1550-ზე მეტ ერთეულ ჯაფანტეკნიკას, 230 ტანკს და სხვა აღჭურვილობას, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, რითაც "რამშტაინის" ფორმატში უკრაინისთვის გადაცემული იარაღის მოცულობა შეაჯამა. როგორც მან აღნიშნა, უკვე აღიჭურვა და გადაზარდა უკრაინის 9 ახალი ჯაფანტეკნიკის ბრიგადა. "დარწმუნებული ვარ, ეს გააძლიერებს უკრაინის პოზიციას ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად", - დასძინა ალიანსის თავაჯცმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება უკრაინის ანექსირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები იმ უკრაინელების დეპორტაცია, რომლებიც რუსეთის მოქალაქეობის მიღებაზე უარს განაცხადებენ. ასეთი მოქალაქეობის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრების უფლებას 2024 წლის 1 ივლისამდე შეინარჩუნებენ, სამომავლოდ კი უცხოელებად ჩაითვლებიან. რუსეთს უკრაინის 4 რეგიონი - დონეცკი, ლუგანსკი, ზაპორიჟიე და ხერსონი აქვს ანექსირებული.

ჩვენი ამოცანები ნათელია და სპეციალური სამხედრო ოპერაცია ბოლომდე იქნება მიყვანილი, - განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ. როგორც მან აღნიშნა, კიევისთვის იარაღის მიწოდება კონფლიქტს ახანგრძლივებს, საბოლოოდ კი ის ბუმერანგით ბრუნდება, რაც გავლენას ახდენს სტაბილურობაზე ევროპასა და მთელ მსოფლიოში. შოიგუს განცხადებით, აშშ და მისი მოკავშირეები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სისტემის რეფორმირებას კონტროლირებადი რეგიონალური ალიანსების შექმნის გზით ცდილობენ. "დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე უპრეცედენტო ზეწოლა ხდება, იყენებენ აშკარა შანტაჟს, მუქარას, ფერად რეგულაციებს და სახელმწიფო გადატრიალებას, ვრცელდება უხეში დიზინფორმაცია", - აღნიშნა მან.

დროებითი ზავის გამოცხადების მიუხედავად, სუდანში ვითარება კვლავ მძიმეა. რამდენიმე რაიონში სროლისა და აფეთქებების ხმა ისმის. მოლაპარაკებებში სამხრეთ სუდანის წარმომადგენლები არიან ჩართულნი, რომელიც ცდილობენ, სუდანის არმია და სწრაფი მხარდაჭერის ძალები ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის კიდევ 72 საათით გაგრძელებაზე დათანხმდნენ, რაც სუდანში დაჩქარებულ უცხოეთის მოქალაქეებს ქვეყნის დატოვების საშუალებას მისცემს. არმიასა და გასამხედროებულ დაჯგუფებას შორის დაპირისპირება სუდანში 15 აპრილს დაიწყო. შეტაკებებს 500-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, 4 000-ზე მეტი კი დაშავდა.

მოლდოვის ამჟამინდელ ლიდერთან მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს, რადგან მოლდოვა, როგორც ქვეყანა აღარ არსებობს, - განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა. მანამდე მოლდოვის პრემიერ-მინისტრმა დორინ რეჩანმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ქვეყანაში შესვლა ეკრძალება.

მომზადდა ია შველიძემ





„ბრინჯაოს ბალერინა“ რიზიდან ბათუმში დაიდო ბინა

ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა (დირექტორი - ირმა მსხალაძე) არსებობის 25 წელს ითვლის. ბოლო პერიოდში სკოლის აღსაზრდელები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევნენ როგორც საქართველოში გამართულ კონკურსებსა თუ ფესტივალებზე, ისე უცხოეთში. წლებგანდელ კონკურს-ფესტივალზე „რივის გაზაფხული 2020-2023“ სკოლა ლატვიიდან გრანპრით „ბრინჯაოს ბალერინა“ დაჯილდურდა. ამას გარდა, ყველა ნომინაციაში (კლასიკური, თანამედროვე, სახასიათო), სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის ბავშვების წინებით, არაერთი საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

როგორც ბალეტის სკოლის დირექტორმა ირმა მსხალაძემ გვითხრა, რომელიც აქ თითქმის ორი ათეული წელია მუშაობს, თავიდან სკოლა ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტთან სტუდიის სახით ჩამოყალიბდა, შემდეგ, 2000 წელს კი ცალკე, დამოუკიდებელი ერთეული და ბათუმის კლასიკური ბალეტის სკოლა-სასწავლებელი გახდა. მასინ სკოლაში

ცეკვას, სახასიათო ცეკვას, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან მსოფლიოს ხალხთა ცეკვებს, თანამედროვე ბალეტს (მოდერნი), ასევე ისწავლება ქართული ცეკვა. ამას გარდა, აქ თეორიულ საგნებსაც შეისწავლიან, როგორცაა მსახიობის ოსტატობა, თეატრისა და ბალეტის ისტორია, ეთიკა და ესთეტიკა, გრიმის ხელოვნება, პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით ისწავლება ფორტეპიანოზე დაკვრა.

პანდემიამ გავლენა იქონია საბალეტო სკოლის მუშაობაზეც, რადგან ყოველდღიური ვარჯიშების ჩატარება, რაც ასე აუცილებელია, ვეღარ ხერხდებოდა. თითქმის ორი წელი სკოლა ონლაინ მუშაობდა, რაც არ არის აქტიური მეცადინეობა.

დღეს ამ ლამაზ ხელოვნებას სკოლაში 22 პედაგოგი ემსახურება. უკვე ტრადიციად იქცა მათი ყოველწლიური გადამზადება, სიახლეების შეტანა მასტერკლასების დახმარებით, რომელსაც თბილისის საბალეტო სასწავლებლის მოწვეული პედაგოგები - ბა-

ლატივის საბალეტო სკოლის პედაგოგი, ქორეოგრაფი მარგარიტა დემუანოვა, თანამედროვე ცეკვის მასტერკლასი კი იტალიელ სტეფანია პიგატოს მიჰყავდა.

კონკურსზე პედაგოგების - ეკატერინე ლლონტის, ანი ფირცხალიაშვილის, ელენორა არჩაია-გაგუას, ნატალია მარტიროსიანის, სალომე კორკოტაშვილის, მარიკა სიხარულიძის, მზია ფუტყარაძის მოსწავლეებმა: ლილე ჭინჭარაძემ, ანტი ანთაძემ, ელენე ბარათაშვილმა, ანა ბუკალავამ, მარიამ ქათამაძემ, ნუცა ბერიძემ, ელენე ბარათაშვილმა, დილე ასლანოვამ, გვანცა ჯორთმენაძემ, მაგნა ნაკაშიძემ, მარიამ ხალვაშმა, ანა ჭოხონელიძემ, ელენა კერაკეშიშაინმა სხვადასხვა ნომინაციაში სამეფო სიწვიის მედლები მოიპოვეს.

ეს იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი კონკურს-ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ აშშ-ის, იტალიის, გერმანიის, ესპანეთის, საბერძნეთისა და საქართველოს პროფესიული სკოლები.

როგორც გედი“, რომელსაც სკოლაში სიამაყით ინახავენ.

რივის კონკურსის პირველი დღე კლასიკურ და სახასიათო ცეკვებს დაეთმო. როგორც სოლო შესრულებით, ისე დუეტსა და ტრიოში. მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი დავალებას და წარმატებებიც იხვეიეს.

როგორც აღვნიშნეთ, კონკურსზე ერთი მთავარი პრიზი იყო დაწესებული - „ბრინჯაოს ბალერინა“ და ის ბათუმის ბალეტის სკოლას ხვდა წილად, დანარჩენი ხუთი პრიზი გახლდათ „სვაროვსკის გედი“, რომელიც სხვა ქვეყნებმა მიიღეს.

ეს წარმატება დიდი სტიმულია არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ პედაგოგებისთვისაც. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის საბალეტო სკოლა ესტონეთშიც მიიწვიეს ასეთივე დონის კონკურსზე, რომელიც ტალინში, 2024 წლის მარტში ტარდება. ესტონელებს ძალიან მოეწონათ ჩვენი გამოსვლა და აღფრთოვანებულნი გვიკარგვდნენ ტაშს, - აღნიშნა ირმა მსხალაძემ.

რაც შეეხება გეგმებს, 18 მაისს სკოლას ტრადიციული საანგარიშო გამოსაშვები კონცერტი ექნება საპრემიერო ჩვენებით. ამჯერად „ქორეოგრაფიული მინიატურებით“ წარსდგებიან მაყურებლის წინაშე, ასევე იმ საკონცერტო ნომრებით, რომლებიც რიგაში შესრულდა. ცალკეული მინიატურები და ვარიაციები აღებულია სხვადასხვა საბალეტო სპექტაკლიდან. ამას გარდა, სცენაზე პირველად გამოვლენ მოსამზადებელი ჯგუფის პატარა აღ-



სულ 20-მდე მოსწავლე და ორი კლასი იყო - პატარების და გამოსაშვები. 2012 წლიდან დაფუძნდა როგორც ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა, სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, სადაც სწავლა სრულიად უფასოა.

ეს ერთადერთი ქორეოგრაფიული სასწავლებელია ჩვენს რეგიონში, რომელიც მსურველს ბალეტის მსახიობის სერტიფიკატს აძლევს. სწავლება ცხრაწლიანია.

დღეისთვის სკოლაში 130 მოსწავლეა 9 კლასში გადანაწილებული. აქ ასწავლიან პროფილურ საგნებს, უპირველესად, კლასიკურ

ლექსების ტერმინები ატარებენ პროფილურ საგნებში (კლასიკური და სახასიათო ცეკვა). გარდა ამისა, მასტერკლასები მათთვის ტარდება იმ ფესტივალებსა და კონკურსებზე, რომელშიც სკოლა მუდმივად მონაწილეობს. წელსაც საუკეთესო მასტერკლასები გაიარეს რივის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „რივის გაზაფხული 2020-2023“. მასში მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების მარგო ფონტინის სახელობის საბალეტო სკოლა, ამავე სკოლის სამხატვრო ხელმძღვანელი კენეტ ლუდენი კლასიკური ცეკვის მასტერკლასს ხელმძღვანელობდა

ბათუმიდან კონკურსზე 21 მოსწავლე და ათი პედაგოგი გაემგზავრა. ყველაზე მეტი ნომერი კლასიკურ ნომინაციაში ჰქონდათ, ამას გარდა, ჩვენები სახასიათო და თანამედროვე ცეკვებითაც წარსდგნენ.

რიგაში ბათუმელი მოცეკვავეები მეორედ მიიწვიეს, პირველად 2018 წელს სტუმრობდნენ და საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს. მასინ უიორის შემადგენლობაში ჩვენი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი გახლდათ (წელს ამერიკაში გასტროლის გამო ვერ ჩავიდა) და მან პირადად გადასცა ჩვენს ბალერინებს კონკურსის სპეციალური პრიზი „სვა-

საზრდელები (პედაგოგი - ელენორა არჩაია) და კონცერტი, ტრადიციულად, მათი გამოსვლით დასრულდება. წელს პედაგოგ ელენორა არჩაიას მოსწავლეების გამოშვება. სკოლას ამთავრებენ ელენე კარაკეშიშაინი, რომელმაც რიგაში, ნომინაციაში „თანამედროვე ცეკვა“ მესამე ადგილი აიღო და ნინო სურმანიძე. მასში ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლაში მოსწავლეთა რეგისტრაცია იწყება, ივნისში კი მისაღები გამოცდები ჩატარდება ორ ეტაპად. სკოლაში მიიღებიან 7 წლის ასაკის მოსწავლეები.

საკუთარი ხედვით გამოჩეხული ხელოვანი

აჭარის ხელოვნების მუზეუმის გალერეაში არქიტექტორ მიშა ქინქლაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა, რომელზეც ავტორის მიერ ბოლო პერიოდში შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები - მორტრეტი, ნატურმორტი, აბსტრაქტული კომპოზიციები წარმოდგენილი დაიბადა ლანჩხუთში, დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე - იყო „საქქალაქმშენსახპროექტის“ უფროსი არქიტექტორი, რამდენიმე საპროექტო კომპანიის წამყვანი არქიტექტორი, საპროექტო-სამშენებლო კომპანია „ერა-98“-ის მთავარი არქიტექტორი, შპს „არქიტრიოს“ მთავარი არქიტექტორი, 2012 წლიდან დღემდე „ემ-არტის“ დამფუძნებელი და მთავარი არქიტექტორია.

საქართველოს არქიტექტურთა კავშირის წევრი მიშა ქინქლაძე არის მრავალი არქიტექტურული კონკურსის სხვადასხვა პრემიის ლაურეატი, მათ შორის, საქართველოს პირველი არქიტექტურული ბენაღეს ლაურეატი, სხვადასხვა ქალაქში განხორციელებული არაერთი პროექტის ავტორია.

მიშა ქინქლაძის ბიოგრაფია შესულია „ქართული ბიოგრაფიული ცენტრის“ მიერ 1999 წელს გამოშვებულ თანამედროვე ქართველ არქიტექტორთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში - „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში“. ის სტუდენტობიდან მუშა-



აობს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მათ შორის, გრაფიკასა და ფერწერაში.

- ძალიან კარგი, საკუთარი ხედვით გამოჩეხული ხელოვანია. მინდა ვუსურვო წარმატება შემდგომ საქმიანობაში და არა მხოლოდ ჩვენთან... ვისაც ნამდვილი ხელოვნება აინტერესებს, მკერა, რომ ამ ნამუშევრებით დიდ სიამოვნებას მიიღებს, რადგან ეს

არის გემოვნებიანი და ოსტატურად გადმოცემული ადამიანის სამყარო. მიშა ქინქლაძე ძალიან კარგად ფლობს როგორც ფერწერის, ისე არქიტექტურის ხელოვნებას. ყველაფერი, რაც დღეს აქაა წარმოდგენილი, არის სწორედ მათი ნაშავი, - აღნიშნა ბათუმის ხელოვნების მუზეუმის მმართველმა ლევან წულუკიძემ.



- ჩემს დღევანდელ გამოფენაზე, ძირითადად, აბსტრაქციები წარმოდგენილი. ინსპირაცია, ალბათ, მინც სამყაროს მთლიანობა და იქიდან გამოსული ემოციების თავმოყრა და ფიქსაცია. სხვათა შორის, ასე ერთად ჩემი ნამუშევრები გამოფენილი არასოდეს მქონია და მეც პირველად გნახე. დღეს ჩემთვის უმთავრესი დამოვლიერებლის ემოციაა, რაც შემდგომი მუშაობისთვის სტიმულს მომცემს, - აღნიშნა მიშა ქინქლაძემ.

გამოფენა 7 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.